

*პროექტი*

საქართველოს კანონი

**“საპარლამენტო ფრაქციის შესახებ” საქართველოს კანონში  
ცვლილების  
შეტანის თაობაზე**

**მუხლი 1.** “საპარლამენტო ფრაქციის შესახებ” საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, 1997 წელი, №41, გვ. 36) 17<sup>1</sup> მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 17<sup>1</sup>. წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის

**დაწესებულებაში** სპეციალური ნებართვის გარეშე შესვლის უფლება

ფრაქციას უფლება აქვს თავისი საქმიანობის საჭიროებიდან გამომდინარე, პარლამენტის რეგლამენტით განსაზღვრული წესის შესაბამისად დასვას საკითხი მის შემადგენლობაში შემავალი პარლამენტის წევრისთვის საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში სპეციალური ნებართვის გარეშე შესვლის უფლების მინიჭების შესახებ.”.

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს 2007 წლის პირველი აგვისტოდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი